საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/19 "7" თებერვალი 2023 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ი. ლაბაძის მცხეთის რაიონული სასამართლოს
მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4[1] პუნქტების საფუძველზე და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანდართული დასაბუთების შესაბამისად, ია ლაბაძე 2023 წლის 15 თებერვლიდან გამწესდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

ია ლაბაძის მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2022 წლის 25 ნოემბრის №1/130 განკარგულებით გამოცხადდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ ვაკანსიებზე. მათ შორის, მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე.

კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2022 წლის 28 ნოემბრიდან 14 დეკემბრის ჩათვლით. მითითებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 9 კანდიდატი.

2022 წლის 20 დეკემბრიდან 2023 წლის 9 იანვრამდე მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის მიერ კონკურსში მონაწილე კანდიდატებზე, მათ შორის ია ლაბაძეზე მოძიებულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[2] მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს წარედგინათ 2023 წლის 9 იანვარს.

<u>კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია:</u>

ია ლაბაძეს აქვს სპეციალობით მუშაობის 19-წლიანი, მათ შორის მოსამართლედ მუშაობის 10-წლიანი გამოცდილება. იგი 2012 წლიდან არის საერთო სასამართლოების მოსამართლე. ია ლაბაძე სხვადასხვა დროს იყო ბოლნისის რაიონული და თბილისის საქალაქო სასამართლოების მოსამართლე.

მოსამართლედ მუშაობის პერიოდში მის მიმართ არ დაწყებულა დისციპლინური დევნა, არ ყოფილა გამოყენებული დისციპლინური სახდელი ან დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება.

<u>კანდიდატთან გასაუბრება:</u>

საბჭოს წევრების მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ დაინიშნა კანდიდატებთან გასაუბრება. საბჭოს წევრები კანდიდატ ია ლაბაძეს გაესაუბრნენ 23 იანვარს. გასაუბრება წარიმართა ღია სხდომაზე.

<u>კანდიდატის შეფასება:</u>

2023 წლის 27 იანვრიდან 2 თებერვლის ჩათვლით პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10-მა წევრმა კანდიდატი ია ლაბაძე შეაფასა კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით.

ია ლაბაძის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, საბჭოს შემფასებელმა ათივე წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

საბჭოს წევრთა მიერ ია ლაბაძის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმების მახასიათებლების მიხედვით კანდიდატის მიერ მოპოვებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 834 ქულა, რაც ქულების მაქსიმალური რაოდენობის 83,4%-ია.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

2023 წლის 7 თებერვალს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის ვაკანსიაზე ჩატარებული ხელახალი კენჭისყრის შედეგად, რომელშიც მონაწილეობა საბჭოს 10-მა წევრმა მიიღო, ია ლაბაძემ მოიპოვა 10 ხმა.

აღნიშნულ ვაკანსიაზე ხელახალი კენჭისყრის ბიულეტენში შეყვანილ იქნა მხოლოდ ია ლაბაძე.

<u>დასკვნა:</u>

კანდიდატის - ია ლაბაძის კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის (წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის, პროფესიული თვისებების) კრიტერიუმების გათვალისწინებით, კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განწესდა ია ლაბაძე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი